სამოქალაქო იდეა

# ირანული ნავთობის კვალდაკვალ:

## იმპორტიორი კომპანიები და მათი პოლიტიკური კავშირები საქართველოში




2026

მაშინ, როდესაც აიათოლას რეჟიმი აგრძელებს დემონსტრაციების ძალადობრივ ჩახშობას, პროტესტში მონაწილე ადამიანების სისტემურ დევნასა და რეპრესიებს, რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, „ქართული ოცნება" საჯარო სიმბოლური ნაბიჯებით გამოხატავს დიპლომატიურ მხარდაჭერას ავტოკრატიული რეჟიმის მიმართ. 2026 წლის 11 თებერვალს, ისლამური რევოლუციის 47-ე წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის სატელევიზიო ანძა ირანის სახელმწიფო დროშის ფერებში განათდა.

საქართველოში ირანის ელჩმა, ალი მოუჯანიმ განაცხადა, რომ ანძის განათება საქართველოსა და ირანს შორის ისტორიულ კავშირებსა და ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების **პოზიტიურ დინამიკას** ასახავს. ელჩის განცხადების მიხედვით, **„ეს ნათელი სიმბოლოა იმისა, რომ დღევანდელი ირანის პატივისცემა ოფიციალურად და საერთაშორისო დონეზეა აღიარებული"** (ირანის ელჩის პოსტი პლატფორმა X-ზე).







ამავე დღეს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ლაშა დარსალია დაესწრო თბილისში მდებარე ირანის საელჩოში გამართულ ღონისძიებას, რომელიც ისლამური რესპუბლიკის „ეროვნულ დღეს" მიეძღვნა. თავის გამოსვლაში, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ორ ერს შორის არსებობს ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებში მჭიდრო ურთიერთობა".



**წინამდებარე ანგარიშის მიზანია, გაანალიზოს და დეტალურად წარმოაჩინოს ის „ეკონომიკური თანამშრომლობა", რომელზეც დიპლომატიური რიტორიკის ფარგლებში, ლაშა დარსალია, ირანის საელჩოში ამაყად საუბრობდა.**

# კვლევის ძირითადი მიგნებები

ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური მონაცემებისა და დოკუმენტაციის მიხედვით, 2022-2025 წლებში საქართველოში რეგისტრირებულმა 72-მა კომპანიამ განახორციელა ირანული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი.

**15 კომპანია** დაკავშირებულია **უცხოეთის, მესამე ქვეყნების** - ყაზახეთის აზერბაიჯანის, და სომხეთის, მოქალაქეებთან.

**10 კომპანია** დაკავშირებულია **ირანის მოქალაქეებთან**, ხოლო ორი კომპანიის ხელმძღვანელთა ან/და მეწილეთა პარტნიორებს შორის ასევე არიან ირანის მოქალაქეები.

**8 კომპანია** დაკავშირებულია **„ქართული ოცნების“** შემომწირველებთან, რომელთაგან სამი კომპანია სახელმწიფო ტენდერებშია გამარჯვებული.



















**8 კომპანიასთან** სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს გაფორმებული აქვთ **კონტრაქტები**, ხოლო სამი კომპანიის ხელმძღვანელ ან/ და მეწილე პირებთან დაკავშირებული კომპანიები სახელმწიფო კონტრაქტების მფლობელები არიან.

**5 კომპანია** დაკავშირებულია **„ქართული ოცნების“ შემომწირველთან**. კერძოდ, შპს „აისი“, შპს „იჰლას“, შპს „ბახულა მოტორსი“, შპს „ბაზა-22“, შპს და „სულფეკო“ წარმოადგენენ საქართველოში მოქმედი აიპი „ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაციის“ წევრ ორგანიზაციებს. აღნიშნული ასოციაციის პრეზიდენტია ბაკურ ხუნდაძე, რომელიც პარტია “ქართული ოცნების” შემომწირველია.

**4 კომპანია** არაპირდაპირი გზით დაკავშირებულია საჯარო ან/და პოლიტიკური თანამდებობის პირებთან, მათ შორის, საქართველოს **პარლამენტის წევრებთან - „ქართული ოცნების“ დეპუტატთან.**

# სარჩევი


ირანული კომპანიების პოლიტიკური კავშირები საქართველოში......................................3

გრაფიკი #1 ........................................................................................................................ 3

გრაფიკი #2 ........................................................................................................................ 4

გრაფიკი #3 ........................................................................................................................ 4

ირანის მოქალაქეებთან დაკავშირებული იმპორტიორი კომპანიები ............................ 7

“ქართულ ოცნებასთან” დაკავშირებული კომპანიბი ...................................................... 25

სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები .................................................. 33

ირანიდან ნავთობის იმპორტიორი სხვა ქართული კომპანიები .................................... 37

ირანიდან ნავთობის იმპორტიორი სხვა კომპანიები ...................................................... 38




## ირანული კომპანიების პოლიტიკური კავშირები საქართველოში

„ქართული ოცნების“ ანტი-დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი და ავტორიტარულ რეჟიმებთან თანამშრომლობა ქმნის ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ გარემოს, რომელიც საქართველოს დემოკრატიული განვითარების ინტერესებს ეწინააღმდეგება. ივანიშვილის რეჟიმის საგარეო პოლიტიკური კურსი და განხორციელებული ქმედებები ქვეყანას რუსეთ-ჩინეთ-ირანის „ბოროტების ღერძის“[1] დამაკავშირებელ ტერიტორიად აქცევს. აღნიშნული ტენდენცია პირდაპირ პროპორციულად აისახება საქართველო-ირანის ორმხრივ ურთიერთობებზე.

წინამდებარე ანგარიშის კვლევის საგანს წარმოადგენს **ქართულ ბაზარზე ირანული ნავთობპროდუქტების იმპორტის წილის დინამიკის ანალიზი.**

საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს სერიოზულ და საგანგაშო ტენდენციას: „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში **ქართულ ბაზარზე ირანული ნავთობპროდუქტების იმპორტის წილი სისტემატურად იზრდება, რაც, თავის მხრივ, ზრდის საქართველოს დამოკიდებულებას ირანის ისლამური რესპუბლიკის ენერგომატარებლებზე.**

2020 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, 2025 წელს ირანიდან შემოტანილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობა და ღირებულება მზარდი ტენდენციით ხასიათდება (**იხ. გრაფიკი #1**). კერძოდ,

თუ **2020 წელს**, ირანიდან 1 346 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოვიდა, **2025 წელს**, აღნიშნული მაჩვენებელი **გაორმაგდა** და 2 740 ტონა შეადგინა.

**2020 წელს**, ირანიდან იმპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთო ღირებულება 683 000 აშშ დოლარს შეადგენდა, მაშინ როდესაც **2025 წელს** აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით **3.5-ჯერ გაიზარდა** და 2 413 000 აშშ დოლარს მიაღწია.







1. ტერმინი “ბოროტების ღერძი” პირველად, აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა გამოიყენა. “ბოროტების ღერძი” მიანიშნებდა იმ მტრულ ტენდენციებზე, რომელიც ავტორიტარული რეჟიმებისგან მომდინარეობდა: „ეს სახელმწიფოები [ჩრდილოეთ კორეა, ირანი, ერაყი] და მათი ტერორისტი მოკავშირეები, წარმოადგენენ ბოროტების ღერძს, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას.“ (ჯ. ბუში, 29/01/2002)

ტერმინი აშშ-ის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს შორის და აკადემიურ წრეებში დღემდე აქტუალურია. „ბოროტების ღერძში“ მოიაზრება ყველა ის რევიზიონისტი არადემოკრატიული რეჟიმი, რომელიც არსებულ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს ეწინააღმდეგება. 2023 წელს, რესპუბლიკელმა სენატორმა, მიტჩ მაკკონელმა განაცხადა, რომ ჩინეთ-რუსეთ-ირანის ბოროტების ღერძი აშშ-ს „პირდაპირ საფრთხეს“ უქმნის.




**გრაფიკი #1:**

ირანიდან იმპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობა (ტონა) და ღირებულება (აშშ დოლარი) წლების მიხედვით.

**ირანიდან იმპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასი მზარდი ტენდენციით ხასიათდება.** უფრო მეტიც, იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება რაოდენობის შემცირების მიუხედავად იზრდება. კერძოდ, 2025 წელს, 2023 წელთან შედარებით, საქართველოში ირანიდან 1 397 ტონით ნაკლები ენერგოპროდუქტი შემოვიდა. მიუხედავად იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობის შემცირებისა, 2025 წელს, 2023 წელთან შედარებით, ირანულ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, 671 000 აშშ დოლარით მეტი თანხა დაიხარჯა.

**იმპორტირებული ირანული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საშუალო ფასი საქართველოში მსხვილი იმპორტიორების, მათ შორის, აზერბაიჯანის, რუმინეთის, თურქმენეთისა და რუსეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება** (**იხ. გრაფიკი #2**).

**გრაფიკი #2**

„საშუალო და მძიმე დისტილატების“, „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების“ საშუალო ფასი წლების მიხედვით.




---

2. გრაფიკი ეფუძნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ საგარეო ვაჭრობის შესახებ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს. საქსტატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების კატეგორია წარმოდგენილია, როგორც: „271019 საშუალო და მძიმე დისტილატები; ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნედლის გარდა; და სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი ნავთობის ან ნავთობპროდუქტების 70 მას.% ან მეტი შემცველობის პროდუქტები, რომლებიც მიღებულია ბიტუმოვანი ქანებისგან“.

თუ შევადარებთ 2025 წლის დეკემბერში იმპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საშუალო ფასებს 2023 წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენე-ბელთან, შემდეგ სურათს მივიღებთ: **ირანიდან იმპორტირებული ნავთობის საშუალო ფასი 1 ტონაზე თითქმის 3-ჯერ გაიზარდა** და შეადგენდა 1038,5 დოლარს, მაშინ როცა სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული ნავთობის ფასები შემცირდა (**აზერბაიჯანი** - 733,6 დოლარიდან 656,2 დოლარამდე, **რუსეთი** - 770,2 დოლარიდან 659,9 დოლარამდე და **თურქმენეთი** - 870,7 დოლარიდან 770,3 დოლარამდე) ან უმნიშვნელოდ გაიზარდა (**რუმინეთი** - 818,5 დოლარიდან 832,6 დოლარამდე) (**იხ. გრაფიკი #3**).

**გრაფიკი #3**

„საშუალო და მძიმე დისტილატების“, „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების“ საშუალო ფასი თვეების მიხედვით.




საქართველო-ირანის სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიფიკაციის პარალელურად, „ქართული ოცნება“ საჯარო რიტორიკაში ცდილობს არსებული რეალობის მიჩქმალვას და ოფიციალურ განცხადებებში უარყოფს ორმხრივი ურთიერთობების პოზიტიურ დინამიკას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, 2025 წლის 7 ნოემბერს, TRT World-თან ინტერვიუში, ივანიშვილის პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის გაკეთებული განცხადება:




**„რაც შეეხება ირანს, ჩვენ [ურთიერთობების] განსაკუთრებული ინტენსიფიკაცია არ გვაქვს, უბრალოდ მეზობელია და გვაქვს ურთიერთობები ირანთან... სხვა ქვეყნების შემთხვევაშიც იგივე ხდება: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი – ყველა მეზობელი ქვეყანა იგივე პოზიციაზეა. ისინი (ირანი) ასევე ცდილობენ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარებას.“**

როგორც ჩანს, ბატონ კობახიძეს ან ავიწყდება, ან შეგნებულად უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ირანს ავტორიტარული და რევიზიონისტი რეჟიმი მართავს. თავის მხრივ, აიათოლას რეჟიმის მდგრადობა მნიშვნელოვანწილად სწორედ ენერგოპროდუქტების ექსპორტზეა დამოკიდებული. 2024 წელს ირანის ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 43 მილიარდ დოლარს შეადგენდა, რაც ქვეყნის ექსპორტიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 57 %-ზე მეტს შეადგენს. **ამ კონტექსტში, საქართველოში რეგი-სტრირებული კომპანიების მიერ ირანული ნავთობპროდუქტების შეძენა აიათოლას რეჟიმის არაპირდაპირ ფინანსურ მხარდაჭერად შეიძლება შეფასდეს.**

“სამოქალაქო იდეამ” 2025 წლის 3 ივლისს გამოქვეყნებულ ანგარიშში, **“ქართული ოცნების ანტიდასავლური პოლიტიკა – შესაძლებლობა ირანისთვის”**, ირანულენოვანი წყაროების საფუძველზე გაანალიზა და გაშიფრა ის სქემები თუ როგორ იყენებენ ირანული ბიზნესწრეები საქართველოს ტერიტორიას საერთაშორისო სანქციების თავიდან ასაცილებლად.




წინამდებარე კვლევა ეხება იმ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს, რომლებიც 2022-2025 წლებში საქართველოში ირანული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს ახორციელებდნენ, მათ შორის არსებულ კავშირებსა და მათ საქმიანობას.

## ირანული ნავთობის იმპორტიორი კომპანიების კავშირები:



## ირანის მოქალაქეებთან დაკავშირებული იმპორტიორი კომპანიები

საქართველოში ირანული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიების ნაწილი უშუალოდ ირანის მოქალაქეების მიერ არის დაფუძნებული. ამასთანავე, იმპორტიორ კომპანიებს შორის იძებნება ისეთი შპს-ებიც, რომელთა დამფუძნებლებიც ირანის მოქალაქეების ბიზნესპარტნიორი საქართველოს მოქალაქეები არიან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იმპორტიორ კომპანიებთან დაკავშირებული ირანის მოქალაქეები ირანში სხვა ბიზნესსაქმიანობასაც ეწევიან. **მეტიც, ერთ-ერთი ირანის მოქალაქე, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში წილებს ფლობს, დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სანქცირებულ ირანულ კომპანიასთან.**

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ხსენებული კომპანიების ხელმძღვანელების, მეწილეების და მათთან დაკავშირებული პირების შესახებ:

### 1 შპს „დორან-ჯორჯია“ (ს/კ: 406217080)




2025 წლის მდგომარეობით კომპანია საქართველოში 2017 წლიდან ოპერირებს. მისი დირექტორი და 100 %-იანი წილის მფლობელია ირანის მოქალაქე **ასღარ პანაჰი დორჩეჰ**. დორან-ჯორჯიამ ირანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი **2022-2025** წლებში განახორციელა.

შპს „დორან-ჯორჯიას“ შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ირანულენოვან ვებ-გვერდებზე, რომელზე მოცემული ინფორმაციაც მოწმობს, რომ კომპანიას ირანის ქალაქ ისპაჰანშიც აქვს ადგილობრივი ფილიალი სახელწოდებით - “Dorran Oil Office”.

რაც შეეხება შპს „დორან ჯორჯიას“ დამფუძნებელს, ასღარ პანაჰი დორჩეჰ-ს, მისი სახელი დაკავშირებულია ირანულ **Behran Oil Co**.-სთან, რომელიც ირანულ ბაზარზე საპოხი ზეთების მოწინავე მწარმოებელია. კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, ასღარ პანაჰი დორჩეჰ გაყიდვების წარმომადგენელია.




კომპანია Behran Oil Co.-ს, 2022 წელს, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა **მეორადი სანქციები დაუწესა.** აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის განცხადებით, კომპანია პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ფონდ Bonyad Mostazafan-ის მიერ, რომელიც ბიზნესასოციაციაა და ირანის უზენაესი ლიდერის კონტროლს ექვემდებარება.

**ამდენად, საქართველოში ირანული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანია „დორან-ჯორჯია“, პირდაპირ უკავშირდება ირანის მოქალაქეს, რომელიც სანქცირებული ირანული კომპანიის თანამშრომელია.**

## 2 შპს „გლობალ თრეიდინგ ქომოდითი ჯი.თი.სი“ (ს/კ: 427733269)

2022 წლის მონაცემებით, კომპანია საქართველოში დარეგისტრირდა 2016 წელს და ირანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი განახორციელა **2022** წელს. კომპანიის დირექტორები და მეწილეები არიან ირანის მოქალაქეები **ჰოსეინ მოშავერი ნაჯაფაბადი** და **ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ**.

**ჰოსეინ მოშავერი ნაჯაფაბადი** და **ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ** დაკავშირებული არიან რამდენიმე ქართულ კომპანიასთან:

### შპს „გლობალ თრეიდინგ ქომოდითი ჯი.თი.სი“

**ჰოსეინ მოშავერი ნაჯაფაბადი**
(დირექტორი, 50%-იანი მეწილე)

**ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ**
(დირექტორი, 50%-იანი მეწილე)

### შპს „ჯი თი ეს თრეიდინგ ჯორჯია“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 406179255), 2016

**ჰოსეინ მოშავერი ნაჯაფაბადი**
(დირექტორი, 100%-იანი მეწილე)

### შპს „აზჯეორან გრუფ“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 405198101), 2017



**გიორგი მარგველაშვილი**
(დირექტორი, 50%-იანი მეწილე)

**ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ**
(დირექტორი, 10%-იანი მეწილე)

**აგილ აბბასლი**
(10%-იანი მეწილე)

**ხაიიმ ზამანოვი**
(30%-იანი მეწილე)

### შპს „აფადანა იმფექს“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 422722085), 2017

კომპანიის საქმიანობა მოიცავს ტრანსპორტს, ექსპორტსა და იმპორტს.



**ალიაკბარ კერამატი**
(45%-იანი მეწილე)

**ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ**
(დირექტორი, 45%-იანი მეწილე)

**სოროუშ კერამატია**
(10%-იანი მეწილე)

## შპს „მეთქუაირ“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 406257839), 2018

ალი ასღარ ხოდაიარი
(90%-იანი მეწილე)



ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ
(10%-იანი მეწილე)

## შპს „სუპერ ოილ ეუროასია“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 439416767), 2021

მაჯიდ ბანიჰაშემინ
(50%-იანი მეწილე)



ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ
(50%-იანი მეწილე)

## შპს „ჰასსჯეო“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 405202374), 2017

გიორგი მარგველაშვილი
(50%-იანი მეწილე)



ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ
(90%-იანი მეწილე)

## შპს „აზგეო“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 406196548), 2017

აგილ აბბასლი
(დირექტორი, 25%-იანი მეწილე)

ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ
(25%-იანი მეწილე)



გიორგი მარგველაშვილი
(25%-იანი მეწილე)

ხაიიმ ზამანოვ
(25%-იანი მეწილე)

## შპს „ეურო ტრანს კარგო

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 406180332), 2016

კომპანიის საქმიანობა მოიცავს ექსპორტს, იმპორტსა და ტრანსპორტს.

ფაზილ ალიევი
(50%-იანი მეწილე)



ჰასსან აღამოჰამმადზადეჰ
(50%-იანი მეწილე)

ჰასან აღამოჰამადზადეჰის პირადი Linkedin ანგარიშის მიხედვით, მისი სპეციალიზაციის სფეროებში შედის „საერთაშორისო სახმელეთო, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტირება". გარდა ამისა, ის თანამშრომლობს ცალკეულ სავაჭრო ჯგუფებსა და ორგანიზაციებთან და ჩართულია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტში. მითითებულია, რომ იგი უზრუნველყოფს „ნედლეულის და ქარხნების აღჭურვილობების" და ასევე, **„სანქცირებული საქონლის"** ექსპორტს ირანში. ამავდროულად, იგი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს დახმარებას საქართველოში სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის პროცესში (**იხ. ფოტო**).




**ფოტოს აღწერა:** ჰასან აღამოჰამმადზადეჰის Linkedin ანგარიშის ეკრანის ანაბეჭდი.

## 3 შპს „გლობალ თრეიდინგ ქომოდითი ჯი.თი.სი" (ს/კ: 427733269)

კომპანია საქართველოში 2018 წლიდან ოპერირებს. 2022 წლის მდგომარეობით, კომპანიის დირექტორი და ერთპიროვნული მესაკუთრე ირანის მოქალაქე **ფარშად ირაჯია**. შპს „ვორლდ ტრანს ლოჯისთიქმა" ირანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი **2022** წელს განახორციელა.

იმპორტიორი კომპანიის მესაკუთრის, ფარშად ირაჯის სახელი საქართველოში რეგისტრირებულ კიდევ რამდენიმე კომპანიას უკავშირდება. აღნიშნულ კომპანიებში ფიგურირებენ ირანის სხვა მოქალაქეებიც:




**ფარშად ირაჯის პარტნიორი ირანის მოქალაქეების ბიზნესკავშირები საქართველოში:**

**ფარშად ირაჯი** ქართულ ბიზნესსივრცეში თანამშრომლობს ირანის მოქალაქეებთან: საბერ ნაჯაფი ჰაკისთან, მეჰრდად რაჰმანი ფარდისა და ჰამიდ ეყთედარმანეშთან. თავის მხრივ, აღნიშნული პირები დაკავშირებულნი არიან რიგ ქართულ კომპანიებთან.

**Dimas Pezhvak**
რეგისტრირებულია ირანში

**მეჰრდად რაჰმანი ფარდი**
(დირექტორთა საბჭოს წევრი, 50%-იანი მეწილე)

**შპს „ფანელი 22“**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ 400345676)

**ბესიკ ფერაძე**
(დირექტორი 50%-იანი მეწილე)

**მეჰრდად რაჰმანი ფარდი**
(დირექტორი 50%-იანი მეწილე)



**შპს ARIANA GROUP**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ 404923053)

**დარაბ ყოთბრაზმჯუ**
(დირექტორი, 25%-იანი მეწილე)

**მეჰრდად რაჰმანი ფარდი**
(25%-იანი მეწილე)



**მეჰდი რაჰმანი ფარდი**
(დირექტორი, 25%-იანი მეწილე)

**ბეჰზად ბაყერი**
(25%-იანი მეწილე)

**შპს „ალფა პეტროლიუმ ინტერნეიშენალ“**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ 400110580)

**მოჰსენ ნასრი**
(დირექტორი, 60%-იანი მეწილე)

**მეჰრდად რაჰმანი ფარდი**
(40%-იანი მეწილე)

**შპს „ალფა პეტროლიუმ ინტერნეიშენალ“**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ 401972157)

**მეჰრდად რაჰმანი ფარდი**
(მეწილე)

**PARCHIN SABZ SHAHR (شرکت پرچین سبز شهر)**
რეგისტრირებული ირანში,
ახორციელებს „მწვანე პროექტებს"
(დირექტორთა საბჭოს წევრი)

**DIMAS PEZHVAK (دیماس پاجوں)**
რეგისტრირებული ირანში,
ტელეკომუნიკაციების სექტორი
(დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილე)




ხსენებულ ირანულ კომპანიებს საქართველოს მიმართ ინტერესი აქამდეც გამოუვლენიათ. 2014 წლის 28-31 ნოემბერს, აღნიშნული კომპანიების (Parchin Sabz Shahr Company, Dimas Pezhvak) და ასევე, კომპანია Alfa Petroleum-ის წარმომადგენლები საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ და საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატის პრეზიდენტს, კახა ბაინდურაშვილს შეხვდნენ. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველო-ირანის გაერთიანებული სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები.

**ფოტოს აღწერა:** ირანული კომპანიის, Parchin Sabz Shahr Company-ის ოფიციალური ვებ-გვერდიდან ეკრანის ანაბეჭდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია კომპანიის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის შესახებ.

ფარშად ირაჯის **მეორე პარტნიორის**, **ჰამიდ ეყთედარმანეშის** სახელი უკავშირდება ქართულ კომპანიებს:



**შპს „ბარაქათ გრუპ“**

რეგისტრირებული საქართველოში (ს/კ: 439416712)

ბაჰრამ ხანმოხთარი
(დირექტორი, 60%-იანი მეწილე)

ჰამიდ ეყთედარმანეში
(დირექტორი, 40%-იანი მეწილე)



**შპს „ორგანიქ ფარმ“**

რეგისტრირებული საქართველოში (ს/კ: 405322235)

ალირეზა ტორაბი
(დირექტორი, 50%-იანი მეწილე)

ჰამიდ ეყთედარმანეში
(დირექტორი, 50%-იანი მეწილე)



**შპს OMID**

რეგისტრირებული საქართველოში (ს/კ: 404417662)

მოჰამად რეზა ერფანიან საფარი
(დირექტორი 60%-იანი მეწილე)

ჰამიდ ეყთედარმანეში
(0.5%-იანი მეწილე)

სადიყე ერფანიან საფირე
(29,5%-იანი მეწილე)

ომიდ ერფანიან საფარი
(10%-იანი მეწილე)

ფარშად ირაჯის **მესამე პარტნიორის**, **საბერ ნაჯაფი** ჰაკის სახელი რამდენიმე ქართულ კომპანიას უკავშირდება:

**შპს „ვორლდ თრეიდ ქომფანი“**

რეგისტრირებული საქართველოში (ს/კ: 405229836)

სეიედ მოჰსენ სეიედ ხოსროშაჰი
(33%-იანი მეწილე)

საბერ ნაჯაფი ჰაკის
(დირექტორი, 34%-იანი მეწილე)

ალი მასდარ
(33%-იანი მეწილე)

**შპს GREEN ROAD**

რეგისტრირებული საქართველოში (ს/კ: 404941168)

ელშან გარაევია
(დირექტორი 10%-იანი მეწილე)

საბერ ნაჯაფი ჰაკის
(10%-იანი მეწილე)

ჯავიდ ზაბიჰოლაჰი
(80%-იანი მეწილე)

**შპს „ჯორჯია ქემიქალ კომპანი“**

რეგისტრირებული საქართველოში (ს/კ: 406282534)

აჰმადრეზა ხასთავან
(დირექტორი, 38%-იანი მეწილე)

საბერ ნაჯაფი ჰაკის
(25%-იანი მეწილე)

ალიასყარ რაჯაბზადეჰი
(37%-იანი მეწილე)

**შპს „ასა“**

რეგისტრირებული საქართველოში (ს/კ: 405044205)

საბერ ნაჯაფი ჰაკის
(დირექტორი)

**შპს „ჯორჯიან ბიტუმენ ტრანსპორტი“**

რეგისტრირებული საქართველოში (ს/კ: 421269978)

სალომე კუხალაშვილი
(დირექტორი, 20%-იანი მეწილე)

საბერ ნაჯაფი ჰაკის
(40%-იანი მეწილე)

ესმაილ აქბარინეჟად ჰათამი
(40%-იანი მეწილე)



فهرست اعضای اصلی کمیسیون قیر
اتحادیه صادرکنندگان فرآورده های نفت، گاز و پتروشیمی ایران

| ردیف | نام عضو | نام نماینده |
|---|---|---|
| ۱. | آذر دوام پول | یوسف هادی سیه رود |
| ۲. | آرام روغن صدف خاورمیانه | صفری رضا زاده مفرد نیا |
| ۳. | آرمیتیس پرشیا | صدیقه سعیدی شندی |
| ٤. | آریا قیر سپاهان | سیامک غلام نجفی |
| ۵. | ایزوگام تبریز | اسماعیل اکبری نژاد حاتمی |
| ۶. | بازرگانی بین المللی یزدپارسیانا | فاطمه کشاورزی نژاد منشاد |
| ۷. | بازرگانی بین المللی راد مهران خاورمیانه | حبیب صمدی لمرین |
| ۸. | بازرگانی بین المللی فجر تابنده | محمد محمد نسب |
| ۹. | بازرگانی سید محمود جزایری | سید محمود جزایری |
| ۱۰. | بازرگانی لافت تیز | احمد فکور مطلق |
| ۱۱. | بین المللی تجارت الوند | حامد واحدی |
| ۱۲. | بیناس انرژی | علی فرهمند |
| ۱۳. | پارس راین | هومن صالحین |
| ۱٤. | پترو کالا گلفام | محمدرضا اردیبهشت |
| ۱۵. | پتروصنعت زمرد | عباس لنا بخش |
| ۱۶. | پویا اهتمام بین الملل | مهرداد نوربخش |
| ۱۷. | تالارتجارت پرشیا | شروین مختاری |
| ۱۸. | ترنم کارآفرینان سپاهان | عباس ابراهیمی |
| ۱۹. | توسعه گروس انرژی | حمید رضا اردستانی |
| ۲۰. | تولیدی بشکه و قیر صنعتی و آسفالت راه دژپا | وحید شیخی |

საინტერესოა, რომ საბირ ნაჯაფი ჰაკის პარტნიორის, ესმაილ აქბარინეჟად ჰათამის სახელი უკავშირდება რამდენიმე ირანულ კომპანიას: Kohan Tejarat Majd Tabriz Company, Tabriz Izogam და Majd Bitumen Refinery.

**ფოტოს აღწერა:** ცხრილის სათაურად მითითებულია: ბიტუმის კომისიის მთავარი წევრების სია: ნავთობის, გაზისა და ნავთობქიმიური პროდუქტების ექსპორტიორთა კავშირი. ესმაილ აქბარინეჟადი სიაში რიგით მე-5 ადგილს იკავებს.



اسامی اعضای اتحادیه صادر کنندگان فرآورده های نفت، گاز و پتروشیمی ایران

აქბარინეჟადი, კომპანია Tabriz Izogram-ის მეშვეობით, ირანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტს ახორციელებს.

**ფოტოს აღწერა:** ირანული ნავთობის, გაზისა და ნავთობქიმიური პროდუქტების ექსპორტიორთა კავშირის წევრების სიაში ესმაილ აქბარინეჟადის კომპანია მე-14 ადგილს იკავებს.

ამგვარად, საბერ ნაჯაფი ჰაკის პარტნიორი აქბარინეჟადი ირანული ნავთობპროდუქტების აქტიური ექსპორტიორია. მისი კომპანია ირანის **"ნავთობის, გაზისა და ნავთობქიმიური პროდუქტების ექსპორტიორთა კავშირის"** (OPEX) **წევრია**.

აღნიშნული კავშირი დაარსდა 2004 წელს და მიუხედავად იმისა, რომ "არასამთავრობო" მანდატით ფუნქციონირებს, როგორც მისი დირექტორთა საბჭოს წევრების, ისე თავად კავშირის საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება ირანის ისლამურ რესპუბლიკას. მაგალითისათვის, სადამფუძნებლო ქარტიაში, კავშირის მოვალეობებს შორის ნახსენებია: ქვეყნის სამთავრობო უწყებებისთვის ექსპერტული აზრისა თუ რეკომენდაციების მიცემა ნავთობის, გაზისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტისთვის ხელშემწყობი კანონებისა და რეგულაციების მიღების მიზნით, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ექსპორტის გაძლიერების მიზნით და სხვა.



لیست شرکت های حمل کننده

**შპს „ვორლდ ტრანს ლოჯისთიქ", რომელიც საქართველოში ირანული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს ახორციელებდა, დაკავშირებულია ირანის მოქალაქეებთან, რომლებიც ირანში შესაბამის სექტორში სხვადასხვა ბიზნესებს ფლობენ. აღნიშნული კავშირები შემთხვევითი არ არის და, როგორც ჩვენს წინა ანგარიშშიც აღინიშნა, ირანელი ბიზნესმენები სხვადასხვა თაღლითური სქემების გამოყენებით ცდილობენ საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლას.**

## 4 შპს „აისი“ (ს/კ: 206174209)

2025 წლის ამონაწერის მიხედვით, შპს „აისი“ საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2005 წლის 28 თებერვალს. კომპანია საპოხი, საცივებელი პროდუქტებითა და სხვა საავტომობილო სათბობით ვაჭრობს. ირანიდან საქართველოში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი 2022-2025 წლებში განახორციელა. კომპანიის ერთპიროვნული მმართველი და დირექტორი საქართველოს მოქალაქე ირმა პატარაიაა.

კომპანიას სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის გამოცდილებაც აქვს. კერძოდ, 2012-2015 წლებში მასთან გამარტივებული შესყიდვების გზით დადებული რამდენიმე კონტრაქტი საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ირმა პატარაიას საქართველოში სხვა კომპანიებიც აქვს რეგისტრირებული, სადაც სწორედ ირანის მოქალაქეები არიან მისი პარტნიორები.



## 5 შპს „ჯეო გოლდენ გოლ“ (ს/კ: 445542967)

2024 წლის მდგომარეობით, 2018 წელს დაფუძნებული კომპანიის დირექტორი და მესაკუთრე, მარიამ ნასირია. მანამდე, 2019 წლის მონაცემებით, კომპანიის დირექტორი და მესაკუთრე იყო ირანის მოქალაქე **ჯავად დადაშნეჯადუზბეჰი**. კომპანიის საქმიანობა ეხება სატვირთო საგზაო ტრანსპორტს. „ჯეო გოლდენ გოლმა“ ირანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი **2022** წელს განახორციელა.




**ფოტოს აღწერა:** კომპანიის ოფიციალური Linkedin ანგარიშზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, **„კომპანია იმპორტის, ექსპორტისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების მიზნით დაარსდა.“** ასევე, აღნიშნულია, რომ **“ქართული ბაზრის შესწავლის საფუძველზე, ირანში ექსპორტი და ირანიდან იმპორტი განვითარდა”.**

## 6 შპს „ჯეო გოლდენ გოლ“ (ს/კ: 445542967)

2018 წელს დაფუძნებული კომპანიის დირექტორი და წილების 50 %-ის მფლობელი საქართველოს მოქალაქე თეიმურაზ ყარმაზანაშვილია. კომპანიის წილების დანარჩენ 50 %-ს ფლობს ირანის მოქალაქე ალირეზა აბოუტალებიანსოურესჰჯანი. შპს „გლობალ პეტროლეიუმ გრეენ ოილმა“ ირანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი განახორციელა **2024** წელს.

თეიმურაზ ყარმაზანაშვილს უკავშირდება ქართული კომპანიები, რომლებიც ნავთობსა და ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ სექტორში ოპერირებენ:

**შპს „გლობალ პეტროლეიუმ გრეენ ოილ“**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 406254967)

**ალირეზა აბოუტალებიანსოურესჰჯანი**
(50%-იანი მეწილე)

**თეიმურაზ ყარმაზანაშვილი**
(დირექტორი 50%-იანი მეწილე)

**შპს „პეგასპეტროლიუმ ჯორჯია“**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 429336113)

**ტოლკინბეკ ბაბაშევი**
(მესაკუთრე)

**თეიმურაზ ყარმაზანაშვილი**
(დირექტორი)

**შპს ტრიუმფი**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 404414530)
კომპანიის საქმიანობა მოიცავს “ნავთობპროდუქტების წარმოებას

**უსმან მარხიევი**
(დირექტორი, 50%-იანი მეწილე)

**თეიმურაზ ყარმაზანაშვილი**
(50%-იანი მეწილე)

**შპს გლობუსი**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 404386008)
კომპანიის საქმიანობა მოიცავს დიზელის სათბობით საბითუმო ვაჭრობას.

**ბესარიონ კეიდია**
(50%-იანი მეწილე)

**თეიმურაზ ყარმაზანაშვილი**
(75%-იანი მეწილე)

**შპს ქართული ნავთობი**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 204498436)
კომპანიის საქმიანობა მოიცავს ბენზინით საბითუმო ვაჭრობას.

**ჯემალი ლეონიძე**
(მეწილე)

**თეიმურაზ ყარმაზანაშვილი**
(დირექტორი, მეწილე)

**შპს “ ბიემპი”**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 15107841)
კომპანიის საქმიანობა მოიცავს ბენზინით საცალო ვაჭრობას.

**შპს მაქსტრეიდ კომპანია**
(ს/კ: 400347013)
(მესაკუთრე)

**თეიმურაზ ყარმაზანაშვილი**
(დირექტორი)

**შპს მაგნატი 2006**
რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 200184834)
კომპანიის საქმიანობა მოიცავს ბენზინით საცალო ვაჭრობას

**ჯემალი ლეონიძე**
(დირექტორი, მეწილე)

**თეიმურაზ ყარმაზანაშვილი**
(მეწილე)

**მალხაზი ბიბლიძე**
(მეწილე)

**გიორგი ლოლაძე**
(მეწილე)

რაც შეეხება კომპანიის წილების 50 %-ის მფლობელ ირანის მოქალაქე **ალირეზა აბოუტალებიანსოურესჰჯანის**, მისი სახელი უკავშირდება ირანულ კომპანია Baharan Palayesh Sabz Parsian-ს. კერძოდ, ბატონი ალირეზა კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. კომპანია აწარმოებს გამოყენებული ნავთობისა და სხვა ნავთობპროდუქტების გადასამუშავებლად საჭირო პროდუქციასა და ტექნოლოგიებს, ასევე უზრუნველყოფს კონსულტაციებს ნავთობპროდუქტების გადამუშავების შესახებ.




**ფოტოს აღწერა:** ირანული ვებ-გვერდიდან ამონარიდი, სადაც აღნიშნულია, რომ ალირეზა აბოუტალებიანსოურესჰჯანი, კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა.




**ფოტოს აღწერა:** სურათი კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდიდან, სადაც ალირეზა აბოუტალებიანსოურესჰჯანი კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ არის მითითებული.

## 7 შპს „ბიო საიქელ“ (ს/კ: 405481090)

2023 წლის ამონაწერის თანახმად, 2021 წელს რეგისტრირებული კომპანიის დირექტორი და მეწილე ირანის მოქალაქე **მოჰამადრეზა აფრახთეა**. შპს „ბიო საიქელმა“ ირანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი განახორციელა **2024** წელს. მოჰამადრეზა აფრახთეს უკავშირდება რამდენიმე ქართული კომპანია:

**შპს „ბიო საიქელ“**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 405481090)

**მოჰამადრეზა აფრახთეა**
(დირექტორი, 100%-იანი მეწილე)

**შპს „აფადანა ლიფთ ჯე“**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 406237889)

**აჰად საბერი**
(85%-იანი მეწილე)

**მოჰამადრეზა აფრახთეა**
(15%-იანი მეწილე)

**შპს „აფადანა ლიფთ ჯე“**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 406242560)

**აჰად საბერი**
(მესაკუთრე)

**შპს „პომპა+“**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 404497317)

**პაატა ჯანხოთელი**[3]
(15%-იანი მეწილე)

**მოჰამადრეზა აფრახთეა**
(დირექტორი, 40%-იანი მეწილე)

**გიორგი ნიჟარაძე**
(30%-იანი მეწილე)

**სანან აბდულაევი**
(15%-იანი მეწილე)

**შპს ირან-საქართველოს ენერგო ჯგუფ**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 445486457)

**გიორგი ნიჟარაძე**
(50%-იანი მეწილე)

**დავით კაიკაციშვილი**
(50%-იანი მეწილე)

**დავით კაიკაციშვილი** 2013 წლიდან ჯანდაცვის სამინისტროსა და დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოში მენეჯერულ პოზიციებს იკავებდა და დღემდე საჯარო მოხელეა. 2025 წლის აგვისტოში იგი დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ხელმძღვანელად დაინიშნა.

დავით კაიკაციშვილს უკავშირდება რამდენიმე კომპანია, მათ შორის, შპს „დომანუს“-ს (ს/კ: 405121693): დირექტორი - გურამ ჩიჩუა, მესაკუთრეები - გურამ ჩიჩუა, გიორგი მაისურაძე, დავით კაიკაციშვილი, რევაზ შავიშვილი და „ქართული ოცნების“ შემომწირველი **გურამ გაბუნია**. [4]

3. ქართული ოცნების შემომწირველი: 09/07/2014 – 50 000 ლარი.
4. ქართული ოცნების შემომწირველი: 19/07/2013 – 5 000 ლარი.

რაც შეეხება **პაატა ჯანხოთელს**, მისი სახელი უკავშირდება რამდენიმე ქართულ კომპანიას, რომელთა მეწილეებს შორის ირანის მოქალაქეებიც ფიგურირებენ:

### შპს GEORGIAN GLOBAL

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 404428393)

**მოჰამადრეზა აფრახთე**
(დირექტორი, მეწილე)

**პაატა ჯანხოთელი**
(მეწილე)

**ფარშად ფაშაი**
(მეწილე)

### შპს LPGE GEORGIA

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 404913313)

**ნემათოლაჰ ებადი**
(დირექტორი, მეწილე)

**პაატა ჯანხოთელი**
(მეწილე)

**ნაბი აბდულაევი**
(მეწილე)

**მოჰამადრეზა აფრახთე**
(მეწილე)

**მოხთარ ებადი**
(მეწილე)

### შპს B.H.E. Co.

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 404401143)
კომპანიის საქმიანობა მოიცავს ნავთობით საბითუმო ვაჭრობას.

**ალი ებადი**
(დირექტორი, მეწილე)

**პაატა ჯანხოთელი**
(მეწილე)

**ნაბი აბდულაევი**
(მეწილე)

**სანან აბდულაევი**
(მეწილე)

**მოხთარ ებადი**
(მეწილე)

### შპს „ელ.პი.დი.ი. კო.“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 404399557)

**მოხთარ ებადი**
(დირექტორი, მეწილე)

**დარაბ ყოთბრაზმჯუ**
(დირექტორი, მეწილე)

**პაატა ჯანხოთელი**
(მეწილე)

**ნაბი აბდულაევი**
(მეწილე)

**ბეჰზად ბაყერი**
(მეწილე)

**ნემათოლაჰ ებადი**
(მეწილე)

**მეჰრდად რაჰმანი ფარდი**
(მეწილე)

**მეჰდი რაჰმანი ფარდი**
(მეწილე)

**შპს „გეობითუმ“**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 404532993)

გია ადამია[5] (დირექტორი, მეწილე) | დილარ ხაბულიანი (მეწილე) | პაატა ჯანხოთელი (მეწილე)

აღსანიშნავია, რომ პაატა ჯანხოთელსა და "ქართულ ოცნებას" შორის კავშირი იკვეთება არა მხოლოდ შემოწირულობების სახით, არამედ პირდაპირი კონტრაქტების ფორმითაც. კერძოდ, 2025 წლის 8 ივლისს გამოქვეყნდა ირაკლი კობახიძის მიერ ხელმოწერილი განკარგულება, რომლის მიხედვითაც, შპს "მეგის" 1,5 მილიონ ლარად საკუთრებაში გადაეცა თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე 2 მიწის ნაკვეთი და ერთი შენობა-ნაგებობა. აღნიშნული კომპანიის დირექტორი და მეწილე პაატა ჯანხოთელია.

საგულისხმოა, რომ "ქართული ოცნების" მიერ შპს "მეგისთვის" ქონების პირდაპირ მიყიდვას წინ უძღოდა ირაკლი კობახიძის 2025 წლის 27 ივნისის განცხადება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობამ, კორუფციული რისკების გამო, უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის პრაქტიკა გააუქმა.

**ამდენად, ირანული ნავთობის იმპორტიორი კომპანია შპს "ბიო საიქელ" დაკავშირებულია არა მხოლოდ ირანის მოქალაქეებთან, არამედ პარტია "ქართული ოცნების" შემომწირველებსა და საჯარო თანამდებობის პირებთან. აღნიშნული კომპანიის შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ "ქართული ოცნება" მფარველობს ირანელი ბიზნესმენების საქმიანობას.**

## 8 შპს „მმ“ (ს/კ: 400120515)

2024 წლის ამონაწერის მიხედვით, 2014 წელს დაფუძნებული კომპანიის დირექტორი და მესაკუთრე **მერაბ მელელაშვილია.** კომპანიის საქმიანობა მოიცავს საბითუმო ვაჭრობას ჩარხებით. შპს მმ-მ ირანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი **2022** წელს განახორციელა.

მერაბ მელელაშვილი უკავშირდება რამდენიმე ქართულ კომპანიას, რომლებშიც ირანის მოქალაქეები და „ქართული ოცნების“ შემომწირველები ფიგურირებენ:

**შპს „მმ“**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 400120515)

მერაბ მელელაშვილია (დირექტორი)

**შპს „მფმ-MFM“**

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 400107889)

მანუჩარ გუგუნაშვილი (10%-იანი მეწილე) | ფარჰად ხაკი (45%-იანი მეწილე) | მერაბ მელელაშვილი (45%-იანი მეწილე)

5. ქართული ოცნების შემომწირველი: 16/10/2020 – 20 000 ლარი. სალომე ზურაბიშვილის შემომწირველი - 11/10/2018 – 15 000 ლარი.

### შპს „პლიუს ჯგუფი 24“

რეგისტრირებულია საქართველოში (ს/კ: 402315614)

**ირაკლი გიორგიძე** (დირექტორი, 50%-იანი მეწილე)

**პაატა გვილავა** (50%-იანი მეწილე)

**მერაბ მელელაშვილი** (დირექტორი)

## 9 შპს „თოჩალ“ (ს/კ 417901033)

